- **სხვა გამოცდა**

სხვა გამოცდის დასაგეგმად გამოცდების მოდულში ვაჭერთ ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში **„+“** ღილაკს და გამოსულ ფანჯარაში ვავსებთ შესაბამის ველებს: **„გამოცდის ტიპში“** - ვირჩევთ **„სხვა გამოცდას“**, ვირჩევთ სემესტრს, კლასს, საგანს, გამოცდის ჩატარების თარიღს, აღნიშნული გამოცდის დასახელებას, გამოცდის ჩატარების დაწყებისა და დასრულების დროს, ვუთითებთ აღნიშნული გამოცდა იყოს გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი, სექტორს და ვირჩევთ - გამოცდის შეფასება იყოს განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი. იმ შემთხვევაში თუ ავირჩევთ, რომ საგამოცდო შეფასება იყოს **განმავითარებელი**, მეტი ველი აღარ ივსება და პირდაპირ ვაჭერთ ღილაკს **„შენახვა“**.



თუ ავირჩევთ, რომ საგამოცდო შეფასება უნდა იყოს **განმსაზღვრელი** - გამოჩენილი სამი დამატებული ველიდან, უნდა ავირჩიოთ ერთერთი, კერძოდ - მიღებული ქულა **„აისახოს სემესტრული შეფასების დათვლისას“**, **„გახდეს სემესტრული შეფასება“**, თუ **„გახდეს წლიური შეფასება“**.



ბოლოს ვაჭერთ ღილაკს **„შენახვა“**. ამის შემდეგ გამოცდა ჩაინიშნება და გამოჩნდება **„გამოცდების“** მოდულის თავფურცელში, რეგისტრირებული გამოცდების 1 ნომრად (როგორც ყველაზე ბოლოს/გვიან ჩანიშნული).